



სამოქალაქო პლატფორმა „არა- ფოჯიას!“ თავდაცვის კოდექსით დადგენილ მოწესრიგებას დისკრიმინაციულად და არაკონსტიტუციურად მიიჩნევს

სამოქალაქო პლატფორმა **„არა-ფოჯიას!“** ეხმიანება 2023 წლის 21 სექტემბერს საქართველოს პარლამენტის მიერ თავდაცვის კოდექსისა და კოდექსთან დაკავშირებული კანონპროექტების [მიღებას მე-3 მოსმენით](#). პლატფორმა მიიჩნევს, რომ მიღებული ცვლილებები არ შეესაბამება ადამიანის უფლებათა სტანდარტებს.

პლატფორმის პოზიციით, საკანონმდებლო ცვლილებებით დადგენილი მოწესრიგება დისკრიმინაციულია. კერძოდ, ცვლილებების შედეგად, მღვთელთმსახურობა და სასულიერო სასწავლებელში სწავლა აღარ არის სამხედრო სამსახურში გაწვევის

გადავადების საფუძველი, ხოლო არასამხედრო, ალტერნატიულ შრომითი სამსახურს ექვემდებარებიან სასულიერო პირები. აღნიშნული მოწესრიგება არ ვრცელდება საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირებზე, რომლებიც საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმებით, ანუ უპირატესი იურიდიული ძალის მქონე სამართლებრივი აქტით გათავისუფლებული არიან როგორც სამხედრო, ისე ალტერნატიული სამსახურისგან. შესაბამისად, მიღებული საკანონმდებლო ცვლილებები წარმოქმნის განსხვავებულ მოპყრობას, ერთი მხრივ, სამხედრო ვალდებულებისგან სრულად გათავისუფლებულ მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირებსა და, მეორე მხრივ, ყველა სხვა რელიგიური ორგანიზაციის/გაერთიანების სასულიერო პირებს შორის, რომლებსაც ევალებათ არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის გავლა. პლატფორმის პოზიციით, აღნიშნული განსხვავებული მოპყრობა გაუმართლებელია, რადგან, კონსტიტუციური სტანდარტის საწინააღმდეგოდ, არ ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს. შესაბამისად, ირღვევა კონსტიტუციით დაცული თანასწორობის უფლება და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირებს დისკრიმინაციულად ენიჭებათ პრივილეგია.

დისკრიმინაციული მიდგომის გარდა, საკანონმდებლო ცვლილებები პრობლემურია რელიგიის თავისუფლების, პერსონალური მონაცემებისა და პირადი ცხოვრების უფლების დაცვის კუთხითაც, რამდენადაც, თავდაცვის კოდექსის მიხედვით, სამობილიზაციო რეზერვის აღრიცხვის მიზნით, რეზერვის ელექტრონულ სისტემაში შეიტანება ინფორმაცია პირის აღმსარებლობისა და მღვდელთმსახურობის შესახებ, ანუ განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემი. ამ ინფორმაციის იძულებით, სავალდებულო წესით გამჟღავნების შემთხვევაში დაირღვევა როგორც რწმენისა და რელიგიის, ისე პირადი ცხოვრების თავისუფლება.

სამწუხაროა, რომ საქართველოს კანონმდებლობაში უკვე არსებული დისკრიმინაციული და არაკონსტიტუციური ნორმების (ტყის კოდექსის, საგადასახადო კოდექსის, სახელმწიფო ქონების შესახებ კანონის, უმაღლესი განათლების შესახებ კანონის რიგი ნორმები და სხვა) გაუქმების ნაცვლად, საქართველოს პარლამენტი ქმნის ადამიანის უფლებების სტანდარტებთან შეუსაბამო ახალ მოწესრიგებას, რომელიც კიდევ უფრო აფართოებს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პრივილეგიათა წრეს. ამკარაა, რომ არ არსებობს პოლიტიკური ნება, საქართველოში დაცული იყოს დემოკრატიული წესწყობილების ისეთი ფუნდამენტური პრინციპები, როგორიცაა რელიგიური თანასწორობა და რელიგიის თავისუფლება.

საკანონმდებლო ცვლილებების დეტალური შეფასება.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა

ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი

ადამიანის უფლებათა ცენტრი

უფლებები საქართველო

თანასწორობის მოძრაობა

თბილისი პრაიდი

მედიის განვითარების ფონდი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

ბალტიისა და შავი ზღვის ალიანსი

დემოკრატიისა და უსაფრთხო განვითარების ინსტიტუტი

საქართველოს რეფორმების ასოციაცია

საფარი